ხელშეკრულება №46

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ქუთაისი

ერთის მხრივ, შპს „ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკის“ დირექტორი ნინო ჩალაძე (შემდგომში „შემსყიდველი“), მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N46ბ; ს/კ 212670796; ტელ: (0431) 22-55-77 და მეორეს მხრივ, შპს „ვესტფარმი“-ს (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) დირექტორი არჩილ ბენიძე (შემდგომში „მიმწოდებელი”), მისამართი: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. N85; ს/კ 212699720; „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქ/პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5. „საქონელი“-ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი.

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შპს ,,ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკისათვის“ ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა.
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები: საქონლის დასახელება, აღწერილობა, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.3 კლასიფიკატორის კოდი - CPV33700000.32300000.38400000

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 164(ას სამოცდაოთხი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2023 წლის 15 მაისს
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N46/ბ-ში;

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება დანართი N1-ში მითითებული ფასების მიხედვით ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით.
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ საქონლის მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადამხდელო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის გამვალობაში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ.
6.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის მომენტიდან, რის შემდეგ საქონლის საკუთრების უფლება გადადის შემსყიდველზე.

.

7. ხარისხი და გარანტია

7.1 შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.
7.2 მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს რეგისტრირებული და ნებადართული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და შესყიდვის ობიექტის ხარისხის ინსპექტირება.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შემსყიდველს მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხის და მახასიათებლების უზრუნველყოფით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.
ბ) უზრუნველყოს წუნდებული, უვარგისი, ვადაგასული, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე სამკურნალო საშუალებების შეცვლა საკუთარი ხარჯით, გონივრულ ვადაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.5. ხელშეკრულების მხარეებს აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი არ გააჩნიათ.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს პოლიკლინიკის დირექტორის მოადგილე.
9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა და ხარისხის კონტროლს.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით გადაწყვეტას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ხუთი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან/და შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში დამღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის ვადით.

17. განსაკუთრებული პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება - „შემსყიდველთან", ხოლო ერთი ეგზემპლარი - „მიმწოდებელთან".

18. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
შპს ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკა
მის: ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ. N46ბ;
ს.ს „თიბისი ბანკი"
ანგარიშის №GE57TB7422534020100001
ბ/კოდი: TBCBGE22
ს/ნ 212670796

დირექტორი

ნინო ჩალაძე

მიმწოდებელი
შპს „ვესტფარმი"
ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. N85
ს.ს„თიბის ბანკი"
GE97TB0300000010467017
ბ/კოდი: TBCBGE22
ს/ნ 212699720

დირექტორი

არჩილ ბენიძე

LTD KUTAISI №4 POLYCLINIC

Digitally signed by LTD KUTAISI №4 POLYCLINIC
Date: 2023.05.15 15:38:05 +04'00'

LTD WESTPHARM

Подписано цифровой подписью: LTD WESTPHARM
Дата: 2023.05.16 16:13:03 +04'00'

დანართი N1

#	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი. ლარი	სულ. ფასი. ლარი	CPV
1	დეპრესორი	ცალი	10	5	50	33700000
2	ეკგ-ქაღალდი 63*30	ცალი	10	3	30	32354000
3	ეკგ-ქაღალდი 80*20	ცალი	20	2,2	44	32354000
3	პიპეტი წვრ ლურჯი 100	ცალი	2000	0,02	40	38437110
					164	

შპს „ქუთაისის N4 შერეული პოლიკლინიკა“ შპს „ვესტფარმი“

დირექტორი ნინო ჩალაძე დირექტორი არჩილ ბენიძე